სკოლამდელი ბავშვებისთვის
შუამავლის ამბები – 1

# ადამ
## (ადამ)
# შუამავალი




ოზქან ოზე
მხატვარი: სევგი იჩიგენ



გამომცემლობა

# ადამ

(ადამ)

## შუამავლის ამბავი



ამ წიგნში შუამავლის სახეებს ვერ ნახავთ ნახატებზე. მუსლიმები შუამავლებისადმი პატივისცემის ნიშნად, მათ არ ხატავენ.

**გამოცემის ხელმძღვანელი:**
დრ. იუქსელ სალმან

**კოორდინატორი:**
იუნუს აქქაია

**ნაშრომის გადამოწმება:**
ჰალე შაჰინ
ელიფ ერდემ

**რედაქტორი:**
ზეინეფ ულვიე ოზქან

**ბეჭდვის ზედამხედველი:**
ისმაილ დერინ

**ნაშრომის გადამოწმების კომისიის გადაწყვეტილება**
12.03.2015/39

**ქართულად თარგმნა:**
ნინო კახაძემ

**ქართული გრაფიკა:**
ბილალ ილქაი

# ადემ

## (ადამ)

## შუამავლის ამბავი



ოზქან ოზე

მხატვარი: სევგი იჩიგენ



თავდაპირველად მხოლოდ ალლაჰი არსებობდა.

ირგვლივ, მის გარდა არაფერი იყო.

შემდეგ ალლაჰმა გადაწყვიტა შექმნა.

"გაჩნდი" თქვა მან.

ალლაჰი რამის გაჩენას, შექმნას რომ ისურვებს,
"გაჩნდი" იტყვის მხოლოდ.

ისიც მაშინვე გაჩნდება...

ალლაჰმა თქვა "გაჩნდი" და ვარსკვლავები გაჩნდნენ.

ალლაჰმა თქვა "გაჩნდი" და ეს სამყარო შეიქმნა.

ცა, ღრუბლები, ხეები, ყვავილები და ხილი გაჩნდნენ.





ალლაჰმა თქვა "გაჩნდი" და პეპლები და ჭიანჭველები გაჩნდნენ.

ჩიტები, თევზები, შვლები გაჩნდნენ...

ვეფხვები და სპილოები გაჩნდნენ.

ალლაჰმა თქვა "გაჩნდი" და ცხვრები გაჩნდნენ, სწრაფად მორბენალი ცხენები და დიდი ძროხები გაჩნდნენ.



ალლაჰმა თქვა "გაჩნდი" და მიწისგან ადამიანი შექმნა.

ეს პირველი ადამიანი იყო...

ალლაჰმა მას ადემი დაარქვა.

ადემი თავდაპირველად სამოთხეში იყო.

იქ ძალიან ბედნიერი იყო. თუმცა სულ მარტო იყო!

ამ დროს კი ყველას მეგობარი ჰყავდა.

ნეტავ ადემსაც ჰყოლოდა მეგობარი!

ალლაჰმა ადემს მეგობარი. ჰავვა (ევა). გაუჩინა.





ადემი და ევა ერთად კარგად ატარებდნენ დროს.

სამოთხე ხომ ძალიან ლამაზი ადგილი იყო.

იქ მათ ყველაფერი ჰქონდათ, რასაც მოისურვებდნენ.



სხვადასხვა სახეობის ყვავილი და უამრავი ხილის ხე...

ყველა ხეზე აცოცვა და მათი ხილის მირთმევა შეეძლოთ.

მხოლოდ ერთი ხე იყო გამონაკლისი.

ალლაჰმა უთხრა, "ამ ხეს არ მიუახლოვდეთ!"

ის აკრძალული ხე იყო. მისი ხილიც აკრძალული იყო!

ადემი და ევა სამოთხეში ძალიან ბედნიერნი იყვნენ.

თუმცა ეშმაკი სულაც არ იყო ბედნიერი.

მას ადემი სძულდა.

რა თქმა უნდა არც ევა ჰყვარებია.

ალლაჰმა ეშმაკი ცეცხლისგან შექმნა.

ის ანგელოზი არ ყოფილა, მაგრამ მათთან ერთად იყო.

ალლაჰმა ადამი რომ გააჩინა, ანგელოზებს უბრძანა, მისთვის პატივი ეცათ.

ანგელოზებმა ეს ბრძანება მაშინვე შეასრულეს.





ეშმაკმა ალლაჰს უთხრა: "მე ცეცხლისგან შემქმენი, ადამი კი მიწისგან!

მე მასზე მაღლა ვდგავარ!

მას პატივს არ ვცემ!"

ეს ალლაჰის ნების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა.

თანაც დიდი უპატივცემულობა იყო!





ალლაჰი ეშმაკს გაუბრაზდა.

ის მშვიდი სამყოფლიდან გააძევა.

აი ამიტომაც სძულდა ეშმაკს ადამი.

აუცილებლად უნდა ეძია ადამზე შური.

მაგრამ როგორ?







ერთ–ერთი მშვენიერი დღე იყო სამოთხეში.

ეშმაკი ერთ ხეს ამოეფარა.

ადემსა და ევას უთვალთვალებდა.

"ესენი აქედან უნდა გავაყრევინო!" თქვა.

მან ვერაგული გეგმა შეიმუშავა.



"გამარჯობა ადემ! გამარჯობა ევა!" თქვა და უცებ გამოვარდა იმ ადგილიდან, სადაც იმალებოდა.

"გამარჯობა!" უთხრეს ადემმა და ევამ.

"აჰ თქვენ გამო როგორ ვწუხვარ" თქვა ეშმაკმა.

"კი მაგრამ რატომ?" ჰკითხა ადემმა.

"რა არის ისეთი, რის გამოც წუხხარ?"





"მალე ხომ სამოთხიდან წახვალთ!" უპასუხა ეშმაკმა.

"როგორ თუ წავალთ?" ჰკითხა ადემმა.

"ვწუხვარ, მაგრამ ასეა." უპასუხა ეშმაკმა.

"ერთ დღესაც მოკვდებით და აქედან წახვალთ!"



"ეს ხომ სამოთხეა! აქ
სიკვდილი არაა!" უთხრა ადემმა.

"გეგონოს მასე!" შეეპასუხა ეშმაკი.

ადემი ძალიან შეშინდა.

ევა კიდევ უფრო...

"თუმცა ნუ იდარდებთ, გამოსავალი არსებობს!" უთხრა ეშმაკმა.

მოშორებით მდგომი ხე უჩვენა და უთხრა:

"იმ ხის ნაყოფს თუ შეჭამთ, აღარასოდეს მოკვდებით. სამუდამოდ სამოთხეში დარჩებით!"



"ის ხომ აკრძალული ხეა!

მისი მაყოფი არ უნდა ვჭამოთ!" უთხრა ადემმა.

"ის ჩვენთვის აკრძალულია!" თქვა ევამ.

ეშმაკმა კი უპასუხა:

"ალლაჰია მოწმე სიმართლეს ვამბობ!"

ამის გარდა უამრავი რამე დაიფიცა...

ეშმაკის ამდენმა ფიცმა ადემი და ევა დაარწმუნა და მისი სიცყვები დაიჯერეს,

მათ ხომ არ იცოდნენ ცყუილი რა იყო.

წავიდნენ და აკრძალული ხის ნაყოფი მიირთვეს.

"ჰა ჰა ჰა " იცინოდა ეშმაკი.

"ისინი მოვაცყუე! ისინი მოვაცყუე!"





ალლაჰს ადრევე გააფრთხილებინა ადამი და ევა, რომ ეშმაკი მათი მტერი იყო. უთხრა, რომ მასთან ფრთხილად ყოფილიყვნენ.

"ვაიმე! ეს რა გავაკეთეთ! ეს ხომ აკრძალული ხის ნაყოფი იყო, ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეჭამა!" თქვა ადამმა.

ევამ ტირილი დაიწყო.

ორივე ნანობდა თავის საქციელს.

ადემმა და ევამ ალლაჰს პატიება სთხოვეს.

ალლაჰმა მათ აპატია.

ალლაჰს პატიება უყვარდა.

თუმცა სამოთხეში ვეღარ დარჩებოდნენ.

ალლაჰმა ისინი დედამიწაზე გამოგზავნა.







ადემმა და ევამ დედამიწაზე მრავალი წელი იცხოვრეს.

დედამიწაზე ცხოვრება არ ყოფილა მარტივი.

თუმცა ალლაჰმა ადემს ყველაფერი ასწავლა.

აი მაგალითად, მარცვლეულის დათესვა და პურის გამოცხობა.

თევზის დაჭერა და რა თქმა უნდა ცეცხლის დანთებაც.





ადემსა და ევას ბევრი შვილი ჰყავდათ.
ალლაჰმა ადემს შუამავლის მისია დააკისრა.
ადემ შუამავალი შვილებს ალლაჰს უხსნიდა.
იმასაც უყვებოდა, ეშმაკმა როგორ შეაცდინა...
სამოთხის სილამაზეზეც ესაუბრებოდა...
აი ყველაფერი ასე დაიწყო.
ჩვენ ყველანი ადემ შუამავლის შვილები ვართ!

